საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 18 01035305

03/05/2018

"საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ელექტრონული ფოსტის მისამართი: Irinagurgenashvili@yahoo.com

ბატონო პაატა,

2018 წლის №557738 განცხადების პასუხად დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის №006160914002 საქმე, 2014 წლის 16 სექტემბერს ქ.თბილისში მ.წინამძღვრიშვილის ქუჩა №190-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ე.წ. "ბოშათა ბაზრობის" დაწვის ფაქტზე, სისხლის სამართლის დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, მოწმის სახით გამოიკითხნენ პირები. ასევე, დაინიშნა სახანძრო ტექნიკური და საქონელთმცოდნეობითი ექსპერტიზა შენობა ნაგებობაზე, საწყობებში არსებულ საქონელზე ზარალის დადგენის მიზნით. სისხლის სამართლის საქმეზე, სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება.

2017 წლის 17 ივლისს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №006170717002 საქმეზე, ქ.თბილისში, მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა №186-ის მიმდებარედ, ე.წ. "ბოშათა ბაზრობის" დაწვის ფაქტზე, სისხლის სამართლის დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ საქმეზე დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოწმის სახით გამოიკითხნენ პირები, დაინიშნა სახანძრო ტექნიკური და საქონელთმცოდნეობითი ექსპერტიზა სამივე საწყობზე, შენობა/ნაგებობაზე და საწყობებში არსებულ საქონელზე ზარალის დადგენის მიზნით. სისხლის სამართლის საქმეზე, სამინისიტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი
თათია ცეცხლაძე